ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევა

MULTIVERSE ARCHITECTURE

ფაბრიკა, 0102, ე.ნინოშვილის ქ. 8
თბილისი, საქართველო
+995 32 2 180 188
office@mua.ge

www.mua.ge

მულტივერს არქიტექტურა იწყებს ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევაზე მუშაობას. კვლევის საგანია თბილისის მასშტაბით არსებული ბრაუნფილდების/ყოფილი საწარმოო ტერიტორიების/ნაგებობების აღწერა. კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს, მაგალითად, ყოფილი რკინიგზის ჩიხი, ელექტროსადგური, რკინისა და ფოლადის მწარმოებელი საწარმო, ქიმიური წარმოება, ქარხნები და ფაბრიკები, სამრეწველო კომპლექსები.

დღესდღეობით მსგავსი ობიექტების უმრავლესობას თავდაპირველი დანიშნულება დაკარგული აქვს, მიტოვებულია ან გადაკეთებულია სასაწყობე სივრცეებად.

პროექტის მიზანია, პირველ ეტაპზე, მოხდეს თბილისის ფარგლებში არსებული ობიექტების აღრიცხვა, ფოტოფიქსაცია და შეფასება.

შეკრებილი მასალა იქნება საწყისი ბაზა იმ დიდი პროექტისა, რაც გულისხმობს თბილისის ინდუსტრიული არქიტექტურის გზამკვლევის წიგნად გამოცემას.

პროექტის განსახორციელებლად მუა ეძებს სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულ არიან ამ თემით და სურვილი აქვთ ჩაერთონ ამ ინიციატივაში, ამისათვის კი, შეასრულონ შემდეგი სამუშაოები:

<u>პირველი ეტაპი</u>

1. თბილისის მასშტაბით ინდუსტრიული ობიექტების მოძიება - მოსაძიებელი ინფორმაცია ობიექტის შესახებ: ობიექტის მდებარეობა - უბანი, მისამართი, საკადასტრო კოდი; ტერიტორიის გეგმა, ფართობი, შენობების/ნაკვეთის მესაკუთრე, უბნის აღწერა, შენობ(ებ)ის დანიშნულება/ფუნქცია [ისტორიული და ეხლანდელი]

მუშაობის ფორმატი: ინფორმაციის მოძიება, ელექტონულად , ასევე არქივში, ფოტოგადაღება.

2. შერჩეული ობიექტების დახასიათება [SWOT ანალიზი] - ტერიტორიის შეფასება, ნაგებობების სტრუქტურული ანალიზი, დაბინძურების შეფასება და სხვა მახასიათებლები.

მუშაობის ფორმატი: ტექსტი, გრაფიკა.

3. შეკრებული მასალის კლასიფიკაცია უბნების მიხედვით, პროცენტული წილის გამოთვლა ქალაქის მასშტაბში - ტექსტი, გრაფიკა.

<u>მეორე ეტაპი</u>

ვორქშოფი - სამომავლო (საპროექტო) ფუნქციების განსაზღვრა*.

*სამუშაო პროცესში, კონკრეტული ობიექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე მოხდება საპროექტო ფუნქციის განსაზღვრა, ადგილის შესაძლებლობებზე მსჯელობა, იდეებისა და მომავლის ხედვების ჩამოყალიბება.

მონაწილეობა

<u>ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება:</u> მონაწილეობის მიღება შეუძლია არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსის ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს.

<u>როგორ მივიღოთ მონაწილეობა:</u> გამოგვიგზავნეთ მეილზე industrial@mua.ge სამოტივაციო წერილი, რომელშიც მოკლედ მოგვწერთ თქვენ შესახებ, თქვენი ინტერესების შესახებ და როგორ ხედავთ კონკრეტულად ამ პროექტში თქვენ მონაწილეობას.

სტუდენტების შერჩევის მეორე ეტაპი იქნება გასაუბრება. გასაუბრების შემდეგ, არჩეული კანდიდატებით დაკომპლექტდება სამუშაო ჯგუფი (რაოდენობა 5 სტუდენტი).

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური მუშაობა გულისხმობს ყოველკვირეულ შეხვედრებს მუას ოფისში, პროექტის კოორდინატორთან და დიზაინ მენეჯერთან ერთად. კვირის განმავლობაში ჯგუფის წევრები დამოუკიდებლად ან/და ჯგუფურად აგრძელებენ დამოუკიდებლად მუშაობას. პროექტის მიმდინარეობა და ვადები განისაზღვრება მულტივერს არქიტექტურას მიერ.

მოცემული პროექტი გულისხმობს სტუდენტის მოხალისეობრივ მუშაობას, თუმცა, უნივერსიტეტთან შეთანხმებით შესაძლებელია მოლაპარაკება პროექტის სასწავლო კომპონენტად ჩამოყალიბების შესახებ/შესრულებული სამუშაოს ჩათვლა პრაქტიკის კრეტიდებად.

მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური სერტიფიკატები მულტივერს არქიტექქტურასგან, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა მუას მიერ ინიცირებულ პროექტში „ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევა“.

საკანცელარიო ნივთებთან, არქივში მუშაობასთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება მულტივერს არქიტექტურას მიერ.

ასევე, სტუდენტები რომლებიც აქტიურობით და ინიციატივებით გამოირჩევიან წახალისების სახით მიიღებენ გარკვეულ ჯილდოს.